



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 243

2016 წლის 16 დეკემბერი

ქ. თბილისი

2016 წლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საგრანტო კონკურსის შედეგად  
გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის დებულების  
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N58/ნ  
ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „დ“  
ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის  
მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის  
დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N1499484,  
16.12.2016-ი.) შესაბამისად,

ვ ბ რ მ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2016 წლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საგრანტო  
კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ს შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)  
იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი  
გათვალისწინებულ პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი  
კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 23 დეკემბრისაა;
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის  
ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

**დანართი**  
**დამტკიცებულია**  
**სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო**  
**ფონდის გენერალური დირექტორის**  
**2016 წლის 16 დეკემბრის N243 ბრძანებით**

**ა) არსებული სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამების განვითარება**

N	შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	პროექტის სათაური	ქულების ჯამი
1	DP2016_18	იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა	53
2	DP2016_9	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	53
3	DP2016_26	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ადგილობრივ საშენ მასალებზე დამზადებული დანამატიანი ბეჭონების თვისებების კვლევა და დანერგვა სამშენებლო წარმოებასა და საავტომობილო გზების	52
4	DP2016_5	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია და მართვა	50

**ბ) ახალი სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა**

N	შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	პროექტის სათაური	ჯამი
1	DP2016_23	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ციფრული ჰუმანიტარია (ციფრული ეპიგრაფიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა, ციფრული	58
2	DP2016_17	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უჯრედული ნეირომეცნიერება	50
3	DP2016_22	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ახალი საფაკულტეტთაშორისო ინტერდისცი-პლინური სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა „ტრანსლაციური ბიომედიცინა (მიმართულება - “ჰეპატოლოგია”)	49
4	DP2016_16	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში	49